ცნობის ფურცელი

№ 1788 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ოთხშაბათი, 24 აპრილი № 1788

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი"
სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **4** მან. და **50** კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—25)

კავკასიელ სტუდენტების დამხმარებლის საზოგადოების დამფუძნებელნი, საზოგადოების წესდების მე-7 და მე-38 §§-ის ძალით, იწვევენ ყველას, ვინც გამოაცხადა სურვილი წევრად ჩაწერისა და ვინც თანაუგრძნობს საზოგადოების საქმეს, მოვიდნენ **საზოგადო კრებაზე**, რომელიც დანიშნულია არტისტიულ საზოგადოების შენობაში შაბათს, 27 აპრილს, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის 9 წევრისა და 6 კანდიდატის არჩევა და

2) სარევიზიო კომისიის 5 წევრისა და 2 კანდიდატის არჩევა. (უ. 3—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა
დ ი ლ ი თ:

კ. ი. ჩიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამ. დე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ-

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილის, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმიო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ე ქ ი მ ი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა **№ 24**
ტელეფონი № 642.

ტფილისიდან წასვლის გამო დიდუბეში ისყიდება სახლი, რომლის ფასადი ორ ქუჩაზეა: ანდრევსკაია და შერემეტიევსკაიაზე; 15 ოთახი და 1 მაღაზია, ქვეშ სარდაფი. უპირველესი ადგილი. პირობების გაგება შეიძლება სახლის პატრონისაგან. (6—3)

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 25 აპრილს 1902 წ.
ქართული დრამატიული დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
« დაკლებულის ფასებით »
გლ. ალექსიევ—მესხიშვილის მონაწილეობით
ყაჩაღები
ტრაგ. 5 მოქ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა·

მონაწილეობენ: ქალ-ნნი გარგარეთელი, სარიძე და სხვ.

ბატონნი: ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ავალიანი, იმედაშვილი, საფაროვი, ივანიძე, რომანიშვილი.

დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება „**ოტელო**" და „**ურიელ-აკოსტა**".

ივანე როსტომაშვილის
სამეურნეო
სასწავლებელში

სწავლა დაიწყო 2-ს აპრილს. არის კიდევ 15 ვაკანსია. მთხოვნელებმა მოგვმართონ: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. пер. № 20). (10—298—7)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან ხელით ნახატებიდან.

საზღვარ-გარედ

ამერიკა და ევროპა. 1823 წელს, 2 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატების მეხუთე პრეზიდენტმა ჯემს მონროემ კონგრესისადმი საპრეზიდენტო მიმართვაში, სხვათა შორის, შემდეგი აზრი გაატარა: „ჩვენ (ამერიკელებმა) გულახდილად უნდა გამოვუცხადოთ ევროპის სახელმწიფოებს, მათთან მეგობრულ განწყობილების გამო, რომ ყოველ მათ ცდას—განავრცელონ ამერიკაზე ევროპაში მიღებული პოლიტიკური სისტემა—მივიღებთ ჩვენ როგორც ჩვენის სახელმწიფოს მშვიდობიანობისა და უშიშრად ყოფის დარღვევას. რაც შეეხება ევროპის სახელმწიფოებს, მათ ახალშენებს და მათგან დამოკიდებულ ტერიტორიებს, ჩვენ არ ჩავრევივართ მათ საქმეში და პირობას ვდებთ, რომ არც შემდეგში ჩავერევით". უფრო მკაფიოდ იგივე აზრი გამოსთქვა ჯეფერსონმა: „პირველი და ძირითადი პრინციპი ჩვენის (ამერიკელების) პოლიტიკისა უნდა იყოს სრული უმონაწილობა იმ ამბებში, რომელიც ევროპას აღელვებს, და წინააღმდეგობის გაწევა, თუ ევროპიელები მოინდომებენ ამერიკის საქმეებში ჩარევას. ამერიკა, ჩრდილოეთი და სამხრეთი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც თვისი განსაკუთრებული, ევროპისათვის სრულებით უცხო, ინტერესები აქვს, ამიტომაც ამ ინტერესებზე ზრუნვა მარტო ამერიკას ეკუთვნის". აი ეს არის ის „მონროეს დოკტრინა", რომლითაც ხელმძღვანელობდა ამერიკა ესპანიასთან ომიანობის დაწყებამდე.

აღნიშნულ დრომდე ამერიკა უზრუნველ ყოფილი იყო ევროპიელებთან შეტაკებისაგან; კუნძულ კუბის დაპყრობამდე ამერიკელები თამამად და გაბედულად თხოულობდნენ ისედაც მცირე ჯარისა და სამხედრო ფლოტის შემცირებას და ევროპიელი სოციალისტები, სხვათა შორის, ამერიკის მაგალითით ამტკიცებდნენ მუდმივ ჯარის სრულ უსარგებლობას და მილიციის წესის სიკარგეს. ესპანიასთან ომიანობის შემდეგ კი ამერიკელის მდგომარეობა შეიცვალა: ფილიპეს კუნძულების შემოერთებით ამერიკა გვერდში ამოუდგა იმ სახელმწიფოებს, რომელნიც დიდ-ოკიანეზე უპირატესობასა და პირველობას ერთმანერთს ეცილებიან.

ეხლახან პიტსბურგში მომხდარ ბანკეტზე მთავრობის წარმომადგენელმა ვაჭრობის მინისტრმა შოუმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან ის აზრი გამოსთქვა, რომ ამერიკას სურს თვალ-ყური ადევნოს არა მარტო იმას, რაც მის ქუჩაზე, ე. ი. ამერიკის მატერიკზე, ხდება, არამედ იმასაც, რაც მთელ დიდ ოკეანეზე და ამ ოკეანეზე მდებარე ქვეყნებში ხდება. „ამერიკელის ერის სიმდიდრე და ენერგია, ჰავაისა და ფილიპეს კუნძულების და დიდის არხის ქონება მიანიჭებს ამერიკას ბატონობას მთელ დიდ ოკეანეზე; ამისათვის ამერიკელებმა უნდა შექმნან უდიდესი სავაჭრო ფლოტი—მაშინ ბრიტანიის დროშის პირველობა ამერიკის დროშას დარჩება".

თითქოს მინისტრის სიტყვის ასასრულებლად შესდგა უდიდესი ტრესტი ამერიკელებისა, რომელმაც უკვე შეიძინა ინგლისელებისა და გერმანელების ნავოსნობის დიდ კამპანიების გემები. ტრესტს სამასზე მეტი საკუთარი გემი ეყოლება და ნავოსნობის მონოპოლიაც მას დარჩება. ამ გარემოებამ მეტად ჩააფიქრა ზღვის ძველი ლომი ინგლისი და ზრუნავს რაიმე წამალი გამოიგონოს მოსალოდნელ საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

მინისტრ შოუსა და პრეზიდენტ რუზველტის ამავე ხასიათის სიტყვა სრული უარყოფაა მონროეს დოკტრინისა. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, დიდ ოკეანეზე დიდ სახელმწიფოების სარბიელია, აქ დიდი ცილაობა და ჭიდილია მათ შორის, ამერიკაც ჩაერია კიდეც ამ ჭიდილსა და ცილაობაში: ჩინეთის ექსპედიციაში ისეთივე მონაწილეობა მიიღო, როგორც დანარჩენ სახელმწიფოებმა, მანჩჟურიის საქმის გამო ცხად პროტესტის გამომხატველი ნოტა გაუგზავნა რუსეთსა და ჩინეთს და სხვა.

„ნოვოე ვრემია" დიდ საზრუნავშია, თუ როგორ აიცილოს თავიდან ამერიკას ის ხიფათი, რომელიც მას მოელის მონროეს დოკტრინის უარყოფით და მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოსვლით. „ამერიკა ვიწრო შეიქნა ამერიკის იმპერიალისმისათვისო, ამბობს რუსული გაზეთი, და აზიის მატერიკის აღმოსავლეთ (ამერიკელებისათვის დასავლეთია) ნაპირებისაკენ დაიწყო ცქერა. მაგრამ ამ ნაპირებზე ბევრ ევროპიელ სახელმწიფოების ინტერესები ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. ამერიკა იძულებული იქნება ჩაერიოს მათ ჭიდილსა და ბრძოლაში (გაერია კიდეც). ეს გარემოება კი ვერ აამაღლებს ამერიკის პოლიტიკურ ძლიერებას. პირიქით, ბევრი რამ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქმე სხვანაირად გათავდება. სანამ მთელი ამერიკის მატერიკი ერთი კომფედერაცია არ იქნება შეერთებულ შტატების მეთაურობით, მანამ შტატები შინ უნდა მუშაობდეს. მონროეს დოკტრინის განხორციელებაა შეერთებულ შტატების ნამდვილი მიზანი, და მეტად სამწუხარო იქნება, თუ ამერიკა გადაუხვევს იმ გზას, რომელიც ამ მიზნისაკენ მიდის". ეს „ნოვოე ვრემია"სათვის სამწუხარო მოვლენა უკვე მოხდა. საკვირველია, რომ თურმე მარტო ამერიკას ჰქონია შინ საქმეები და ამიტომ გარეშე საქმეებზე არ უნდა ჰფიქრობდეს, სხვებს კი ისე მოუწყვიათ თავისი შინაური საქმეები, რომ საზრუნავს მარტო შორეული ქვეყნები შეადგენენ.

ოსმალეთი. ახალგაზრდა ოსმალთა დასის გაზეთს „მეშვერეთს" ოსმალეთიდან ატყობინებენ, რომ ამ გაზეთში დაბეჭდილ ერთის ოსმალელ გენერლის წერილის გამო კონსტანტინეპოლში დააპატიმრეს რამდენიმე გენერალ-ადიუტანტი და სამი მარშალი. გენერლის წერილში, რომლის გამოც მარშლები და გენერლები დაუპატიმრებიათ, შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: „სომეხთა ამოჟლეტამდე სულთანმა მოახდინა საგანგებო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ყველა მინისტრები, მარშლები, გენერალ-ადიუტანტები, ზოგიერთ ოლქების გუბერნატორები და მაჰმადიან სამღვდელოების უფროსი—შეიხ-ულ-ისლამი. როდესაც ყველანი შეიკრიბნენ, სულთანმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ეფენდილერ! თქვენ კარგად იცით, რომ ჩემი ქვეშევრდომი სომხები აჯანყდნენ. იმათი ალაგმვა ვერავითარ მუქარით ვეღარ შეიძლება. გონება იმდენად დაეხშოთ, რომ ხანჯლებითა და რევოლვერებით შეიარაღებას შეუდგნენ მართლ-მორწმუნეთა ამოსაჟლეტად. ასე იქცევა ის ხალხი, რომელიც ხუთის საუკუნის განმავლობაში ვერა ჰბედავდა ჯიბეში დანის დატარებას ვაშლის გასათლელად. ეჭვს გარეშეა, რომ სომხები ჭკუაზე შესცდნენ. ჩემის იმპერიისათვის საშიშოდ მიმაჩნია ამ გიჟთა დაუსჯელად დატოვება. ამიტომ გადავსწყვიტე, ბრძანება გავსცე იმათ ამოსაჟლეტად. რას იტყვით ამაზედ?"

აბდულ-ჰამიდის ამ სიტყვებმა ყველანი გააოცა. პასუხის გაცემა ვერავინ მოახერხა. როდესაც სულთანმა ბრძანების კილოთი ხელ-ახლა გაიმეორა უკანასკნელი სიტყვები, შეიხ-ულ-ისლამმა ტირილითა სთქვა, რომ „წინასწარმეტყველის სიტყვით ალაჰმა გამოუცხადა მორწმუნეთ, ნუ ამოჟლეტავთ უდანაშაულო ღვთის ქმნილებებს, რადგანაც კაცს უბრალო მწერის შექმნაც-კი არ შეუძლიანო." სულთანი ძალიან გააბრაზა ამ გაბედულმა დარიგებამ, მაგრამ ოსმალეთის მბრძანებელმა თავი შეიმაგრა და თვალი მარშალ ფუადფაშას მიაპყრო. ფიცხი ჩერქეზი ფეხზე წამოდგა და ამაყად უთხრა სულთანს: „ხელმწიფევ! თქვენმა უდიდებულესობამ დამაჯილდოვა ამ ეპო-

დლებითა და ორდენებით ომებში ბრძოლისათვის. განა ღირსი ვიქნები ამაების ტარებისა, განა ღირსნი იქნებიან ჩემი ამხანაგები ასეთისავე ჯილდოებისა და თქვენი მამაცი ჯარი დიდებულის სახელისა, თუ იარაღის ხმარება მოგვიხდა ძლიერის მტრის წინააღმდეგ-კი რა, არამედ ცხვრის ფარის წინააღმდეგ, რომელსაც რამდენიმე საზიზღარი კაცი აღელვებს და აჯანყებს? ჩამოვახრჩოთ ეს საზიზღრები და ამბოხება ჩაქრება. ეს ხალხი, ეს ცხვრის ფარა—კი საჭიროა ჩვენთვის ჩვენის მინდვრების დასამუშავებლად, ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლად. რას იტყვის რუსეთი, რას იტყვის ევროპა, თუ რომ ისე მოვიქცეთ, როგორც თქვენი უდიდებულესობა ბრძანებს?“ —„შენ, ფუჭად, ჭკუას ძალას ატან!—მიუგო სულთანმა,—მოსკოვი არაფერს იტყვის. მე დავარწმუნე იგი, რომ რუსეთთან თავდასაცველად დასასხმელ კავშირს დავდებ. ევროპა, უკბილო დედაკაცივით, იწუწუნებს და შემდეგ გაჩუმდება. მაშ შეასრულეთ, რასაც გიბრძანებთ. ყველა თქვენგანი ვალდებულია, სავსებით შეასრულოს ჩემი ბრძანება. სხდომა გათავდა.“

ამის შემდეგ, — ნათქვამია გენერლის წერილში, —დამსწრეთაგან ზოგიერთებმა პირი შეჰკრეს, შეიხ-ულ-ისლამთან წავიდნენ და სთხოვეს გამოსცეს მანიფესტი სულთანის ტახტიდან გადაყენების შესახებ. მაგრამ შეიხ-ულ-ისლამი წინააღმდეგი გამოდგა. იმან შემოგვფიცა მხოლოდ, რომ რაც ერთ სიტყვას არ მივსწერ ჩემ ქვეშევრდომებს ანატოლიის ქრისტიანეთა ამოჟლეტის შესახებაო. მასთან სთქვა, რომ მაჰმადიანი მცხოვრებნი თვით ეცდებიან ქრისტიანეთა გადარჩენას ჯარისა და ქურთების ამოჟლეტისაგანაო. ასეც მოხდა: 2,500,000 ქრისტიანის მაგიერ მხოლოდ 300,000 სული ამოჟლიტეს. ყველა სოფელსა და ქალაქში მაჰმადიანნი მალავდნენ მეზობელ ქრისტიანებს და წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ სულთანს ძალ-მომრეობისათვის.“

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 23 აპრილს, მისის უდიდებულესობის ხელმწიფე დედოფლის **ალექსანდრა თეოდორეს ასულის** სახელ წოდების დღეს, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში, მისმა მაღალი ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ, ეპისკოპოსების—გურია-სამეგრელოსა—ალექსანდრესი, იმერეთისა—ლეონიდეს, კავკავისა—ვლადიმერის, სოხუმისა—ვასილისა და გორისა—ბენიამინეს და ქალაქის არქიმანდრიტთა და სამღვდელოების თანამწირველობით შესრულდა წირვა და შემდეგ პარაკლისი. წირვის დროს ეპისკოპოსის ხარისხზედ აყვანილ იქმნა არდონის სემინარიის რექტორად ნამყოფი ალავერდის ეპისკოპოსად ახლად დანიშნული არქიმანდრიტი დიმიტრი (თავ. აბაშიძე). წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ კავკასიის მთავარმართებული თავ. გ. ს. გოლიცინი, მთავარმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი, ვიცე გუბერნატორი ალიშევსკი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი ზავადსკი, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენ.-მაიორი საგინაშვილი, კორპუსთა უფროსები ზეზემანი და თავ. ამირეჯიბი, ქალაქის თავის მოადგილე შესტაკოვი, უცხო სახელმწიფოთა ტფილისში მყოფი კონსულები, გენერლობა და სხვანი. წირვის შემდეგ არსენალის მთიდან გაისროლეს 21 ჯერ ზარბაზანი. დღით ქალაქი მორთული იყო დროშებით, ხოლო საღამოს გაჩირაღდნებული.

◆ გაზეთ „**კავკაზ**“-ში **ვკითხულობთ:** „21 აპრილს, დილის 11 საათზე, ქ. ბაქოში, სომეხთა საკრებულო ტაძრის წინ მოედანზე შეგროვდა რამდენიმე ასი მუშა; მათ ააფრიალეს წითელი დროშა, დაიწყეს ყვირილი და გაფანტეს ხალხში სარევოლიუციო შინაარსის პროკლამაციები. პოლიციამ, გამოწვეულ კაზაკებთან ერთად, წესიერება აღადგინა. ძალმომრეობა არა ყოფილა-რა. ორი კაცი დაატუსაღეს“.

◆ მეორე სხდომა ტფ. გუბ. **საქარხნო საქმეთა საკრებულოს** ექნება შაბათს, 27 აპრილს; სხდომას წარედგინება საფაბრიკო ინსპექტორის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორის პროგრამითა და წესით უნდა იქმნას შეგროვილი სტატისტიკური მასალა ფაბრიკა-ქარხნების შესახებ ტფილისის გუბერნიაში.

◆ „Тифлисскій листок.“-ის სიტყვით, საფაროვის თამბაქოს ფაბრიკის **მუშებმა უკმაყოფილება** გამოაცხადეს ფაბრიკის პატრონზე საფაბრიკო ინსპექციის წინაშე. 18 აპრილს მუშები მოვიდნენ ფაბრიკაში; საფაროვმა გამოუცხადა, რომ მუშაობა ფაბრიკაში დაიწყება მხოლოდ ორშაბათიდან, 22 აპრილიდან, მანამდის კი მთელ აღდგომის კვირაში ფაბრიკა დაკეტილი იქნება. მუშები იმაზე ჩივიან, რომ ამგვარი განკარგულების გამო იმათ დაჰკარგეს სამუშაოს ფული. რადგანაც ფაბრიკა დაიკეტა ოცდაორ აპრილამდის საფაროვის განკარგულებით, ამის გამო მუშები ითხოვენ, ამ გაუქმებული დღეების სამუშაო ფასი გარდაუხადონ იმათ.

◆ დუშეთის მაზრის, **სოფ. წეროვანის გლეხებმა** თხოვნა მიართვეს მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წარმომადგენელს კავკასიაში იმ ადგილის თაობაზე, რომელიც მდებარეობს იმათ და მცხეთელ გლეხების მიწების შუა. წეროვნელები ამბობენ, რომ დიდი ხანია ამ ადგილით სარგებლობენ და სადაო მიწა, როგორც საეკლესიო უწყების (წინად) ადგილი, იმათ იჯარით აქვთ გადაჭრილ ფასად აღებული. აი ამ იჯარით გასაქირავებელი მიწის გამო აქვთ დავა წეროვნელებს და მცხეთელებს. ხარჯის გარდასახად წიგნებიდან სჩანს, რომ ეს სადაო ადგილი სულ ოცდა ათი დესეტინაა, ნამდვილად კი ის 80 დესეტინაა, რის გამოც ატყდა დავა, რადგანაც მცხეთელებმა, გარდა 30 დესეტინისა, დანარჩენი ადგილიც მიითვისეს. წეროვნელები იმასაც ამბობენ, რომ დიდის შრომით და ოფლით გაჰკაფეს ჯაგნარები, გაასუფთავეს რის ვაი-ვაგლახით და საძოვარი ადგილი გაიკეთეს. ამის გამო წეროვნელები სთხოვენ, ყურადღება მიაქციონ იმათ ეკონომიურ მდგომარეობას და ეს სადაო მიწები, როგორც წინად იყო, იმათ მისცენ სასარგებლოდ.

◆ კვირას, 28 აპრილს, მოხდება **თელავის მაზრის თავად-აზნაურთა** კრება; განსახილველია შემდეგი საქმეები: 1) როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული; 2) როდის ინიშნებოდეს საგუბერნიო კრებები და 3) მაზრაში საქონლის საძოვარ ადგილების შესახებ.

◆ გუშინ, 23 აპრილს, **ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში** ეკკლესიის დღესასწაულ დღეს წირვას, რომელიც ქართულად იყო შესრულებული, ბევრი ხალხი დაესწრო. ჩვეულებრივ, წინადღით სოფლებიდანაც ბევრი ღამის მთეველი ჩამოვიდა, რომელთაც ღამე ეკკლესიის გალავანში გაატარეს.

◆ 22 და 23 აპრილს ტფილისის ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო სასწავლებლებში გარდახდილ იქმნა პანაშვიდები რუსეთის **პოეტის ჟუკოვსკის** გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების აღსანიშნავად.

◆ ქალაქის ხმოსანთა **ამომრჩევლების სიების** შემასწორებელს კომისიას აღმოუჩენია, რომ სიებში შეცდომით არიან შეტანილნი ზოგიერთები, რომელთაც უკვე დაუკარგავთ სავაჭრო ცენზი. ამიტომ კომისიას მოუთხოვნია გამგეობისაგან ახალი სია სავაჭრო ცენზის პატრონებისა, რათა შესწორებულ იქმნას ამომრჩეველთა სიები. ამის გამო კომისიას განზრახვა აქვს ითხოვოს, რომ კიდევ 2 კვირით იქმნას გადადებული სიების გამოქვეყნების ვადა; თუ ეს შეწყნარებული იქმნა, მაშინ ხმოსანთა არჩევნები ივნისის პირველ რიცხვებამდე გადიდება.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ბორჩალოს მაზრის ერთ-ერთ **სახალხო სკოლის მასწავლებელს** ბ. კ—ძეს თხოვნით მიუმართავს 1-ლ სავაჟო გიმნაზიის მმართველობისათვის —ნება მისცენ გიმნაზიის კურს გასათავებელი ეგზამენი დაიჭიროს. გიმნაზიას ეს ნება მიუცია. კ—ძეს გაუთავებია გორის სამასწავლებლო სემინარია და შემდეგ თვითონ მომზადებულა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეგზამენები მაისის შუა რიცხვებიდან იწყება და სახალხო სკოლების ინსპექციას მასწავლებელი დაუთხოვნია მხოლოდ 12 მაისიდან.

◆ სიღნაღის მაზრიდან დაბრუნდნენ საგუბერნიო ექიმი ბ. ქიქოძე და მისი თანაშემწე ბ. მაჭავარიანი. მათის გამოკვლევით ქიაურის აგარაკი გამოდგება **რუსეთიდან გადმოსახლებულთა** დასაბინავებლად.

◆ კავკასიის გზათა ოლქის უფროსი დ. ს. ს. **გუნევიჩი** შაბათს, 27 აპრილს, ერევნის გუბერნიაში გაემგზავრება, რათა დაათვალიეროს ერევნის ტრაქტი. როგორც გადმოგვცეს, ამ ოლქში ერთ-ერთ მსახურს დუქნები გაუხსნია ტრაქტზე, რა გარემოების გამოკვლევასაც, სხვათა შორის, შეუდგება ბ. გუნევიჩი.

◆ როგორც შევიტყეთ, ტფ. გუბ. სახელმწიფო ქონებათა მმართველობის სასამართლო საქმეთა რწმუნებული **დრუჟივიცა-კოვაჩი** ერთ-ერთ დასავლეთ გუბერნიაში გადაჰყავთ.

◆ დღეს კავკასიის **სამხედრო სასამართლო** განიხილავს საყურადღებო საქმეს როტმისტრის მაქსიმოვისას, რომელსაც სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენა და თათრის დედაკაცის მოკვლა ბრალდება.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას, რომელიც გუშინ წინ გაემგზავრა **შულავერში, სხდომები** ექნება 24, 25, 27, 29 და 30 აპრილს და 2 მაისს. სესიას განსახილველად აქვს სულ 27-მდე სხვა და სხვა სისხლის სამართლის საქმეები.

◆ **ქალაქის ინჟინრის** თანამდებობაზე კანდიდატათ ასახელებენ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში მყოფ ინჟინერს ალხაზოვს.

◆ ტფ. **სავრედიტო საზოგადოების** კერძო კრებამ საბოლოოდ გადასწყვიტა—ამ საზოგადოების მმართველად ბ. ღამბაროვი მოიწვიოს.

◆ ამავე საზოგადოების ახალ **რწმუნებულთა არჩევნები** უნდა მოხდეს მომავალ შემოდგომაზე, სახელდობრ—ოქტომბერში.

◆ როხის ეკკლესიის მღვდელი ტ. ჟუბანეიშვილი უღრმესს მადლობას უცხადებს შემდეგ პირთ, რომელთაც როხის ეკკლესიას შემოსწირეს ნივთები: აზ. სიმონ და მატა გოდაბრელიძეებს (ერთი ზარა ღირებული 230 მან.), ლუარსაბ და კესარია ორბელაძეებს (ორი ზარა 120 მან.), მარიამ გაჩეჩილაძეს (პატარა ზარა 12 მან.) და თადეოზ სუპატაშვილს (სანაწილე ფრაყეს 10 მან.).

◆ ტბ. გუბერნატორმა 2 კვირით დაპატიმრება მიუსაჯა მეეტლეს ბოლოტინს პოლიციელისათვის შეურაცხყოფის მიყენების გამო.

◆ პოლკოვნიკ უორდანოვს უთხოვია წყალთა ინსპექციისათვის—ნება მიეცეს მტკვრის პირი, ვერის ხიდთან, გაამაგროს და ქუჩა გაიყვანოს. ხსენებულ ინსპექციასა და ქალაქის გამგეობას შესაძლებლად დაუნახავთ ამგვარის ნების მიცემა.

◆ ჭიათურის ნაწილის სოფელ საირხიდან გვწერენ შემდეგს ამბავს: ამ სოფლის მცხოვრებლებს იოსებ და ამბაკო სადუნიშვილებსა და შუკაკიძეებს ერთმანერთში დავა ჰქონიათ გზის თაობაზე. 12 აპრილს მოსალაპარაკებლად შეყრილან აღნიშნულნი სადუნიშვილები და შუკაკიძეები. მათ შორის ლაპარაკი ისე გამწვავებულა, რომ ჩხუბად გადაქცეულა, რომლის დროსაც შუკაკიძეს რევოლვერით იქვე მოუკლავს იოსებ სადუნიშვილი და მძიმედ დაუჭრია მისი სახლიკაცი ამბაკო სადუნიშვილი. დამნაშავე უკვე დაუპატიმრებიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ შორაპნის მაზრის სოფ. თერჯოლაში კვირას, 14 აპრილს, ბიძაშვილებს, გვარად ქარქაშაძეებს რაღაც მიზეზისა გამო ერთმანერთში უსიამოვნება მოსვლიათ და იმდენზე გამწვავებულა მათში საქმე, რომ ერთმანეთისათვის რევოლვერები უსვრიათ და მძიმედ დაუჭრიათ. ხალხი მალე წაშველებია და ბიძაშვილები გაუზავებიათ.

ფელეტონი

საბედა გოგოს დღიური

(რომანი)

3 სექტემბერი

ძალიან შევეჩვიე ქალაქის ცხოვრებას და, სხვა გზა რომ მქონოდა, სოფელში აბა რა მომიყვანდა; მაგრამ მეტი ჯანი არ იყო. დასწყევლოს ღმერთმა! ჩვენს დიდ-კაცობას ისე აქვს ერთმანეთზე კუდი გადაბმული, რომ თუ ერთი სახელი გაგიტყდა,—მორჩა და გათავდა, სახლში აღარავინ შეგიშვებს! მერე, ტყუილიც ხომ ველარ გაგივა იმათთან: ყველამ იცის, ვის ვინ ყავს მზარეულად, ლაქიად, მოახლე გოგოდ; ისიც კი იციან, ვინ რამდენს აძლევს ჯამაგირს თავის მსახურს...

მახსოვს, კნეინა აგებულიძისას რომ ვიდექი, ერთ დილას, ქალბატონს რომ ვაცმევდი, მოვუყევი, ჩვეულებისამებრ, აქეთ-იქითური ჭორები. სხვათა შორის, უთხარი, კნეინა ელისაბედმა მზარეული გამოიცვალა და ეხლა ხუთ თუმანს აძლევს მეთქი თვეში.

— ხუთ თუმანსაო?!—დამეკითხა კნეინა და თან გულ-მოსულმა ხელიდან სარტყელი გამომგლიჯა.

—ნეტავი შენ ჭორიკანობა არ გიყვარდეს, სხვა არა მინდა-რა; რა სისულელესაც გაიგონებ, უთუოდ უნდა წამოროშოო.—მე მოწიწებით თავი ჩავღუნე და თან გავიფიქრე: გიცნობთ, შვილოსა, რა თარიღისაც ხართ-მეთქი! მე რომ დილაობით ამ ჭორებით არ შეგაქციოთ, ხომ ერთ დღესაც არ შემინახავთ.

ის იყო და ის. იმ დღიდან აიწუნა ჩვენი საწყალი სევასტა პოვრის გაკეთებული საჭმელები და ერთი თვე ჩვენ სუფრაზე ბატონსა და ქალბატონს შუა განუწყვეტელი ჩხუბი და ვაი-ვაგლახი იყო. მისდგებოდა ბატონსა და: „აი შენ რაც უნდა მოგიტანონ ყველაფერს სჭამ; სადილად ვერავისთვის მითხოვნია—მრცხვენია, ფული ვერ გამიმეტნია“ და სხვა და სხვა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთის წლის ნამსახური საწყალი სევასტა დაითხოვეს და ხუთ-თუმნიანი მზარეული დაიჭირეს.

მეც ვისარგებლებდი ჩვენი კნეინების ჯიბრობით, მაგრამ რას იზამ, რომ გოგოს ჯამაგირი გადაჭრილია—8—12 მან. და ჩვენ ნაცნობებში ჩემზე მეტს არავინ იღებდა. ეს კია, რომ საჩუქრებისა არა გამომეპარებოდა:

— ქალბატონო, კნეინა მაკრინეს სულ ახლად-ახალი კაბა უჩუქებია თავის გოგოსათვის—მართა რომ ჰყავთ,—ვუთხარი ერთხელ ქალბატონს;—იმ დღეს წერილი რომ გამატანეთ—ვნახე, სულ უხმარია, ორჯელაც არ ცმიაო; ისეთი ბედი აქვს იმ დაწყევლილ გოგოს!

—მეხი კი დაგეცეს მაგ თავში! თქვენ ხომ ვერა გაგაძღობთ-რა!—შემომიტია კნეინამ,—ეტყობა, თავის ქალბატონს ასიამოვნებს და იმაზე ალალია ყველაფერი; შენ კი ჭორების მეტი ხელიდან არა გამოგივა რა.

მე მძიმედ ამოვიოხრე. ვიცოდი, ჩემი სიტყვა უბრალოდ არ ჩაივლიდა.

— რომელი კაბაა, თუ ნახე? დამეკითხა პატარა ხნის შემდეგ.

— ლურჯი... ცის ფერი...

— ლურჯი, ცისფერი... როდინდელი კაბა იქნება?—დაეკითხა ქალბატონი თავის თავს და თან სცდილობდა მოეგონა:—რა ვქნა თუ ის კაბაა, ხელმწიფის მოსვლისათვის რომ შეაკერვინა... ის ხომ მერე მიხაკის ფრად შეაღებინა... სხვა... ეს ათი წელიწადია, ის სულ თალხ კაბებს იცვამს.

— გოგო, შენის თვალით ნახე ლურჯი კაბაა?—დამეკითხა კიდევ ქალბატონი.

— დიაღ, ქალბატონო, ლურჯი... ცისფერი თუ მწვანე...

— მეხი კი დაგეცა მაგ თავზე! ლურჯიც არის, ცის-ფერიც, მწვანეც; ფერიც ვერ გაგირჩევია, აბა სხვა რაღა მოგეკითხება! მაინც თქვენ, გლეხებმა, ეგრე იცით: წითელს—ყვითელს ეძახით და შავს — თეთრსა; იმიტომაც ხართ ეგრე უბედურები!—დაასკვნა კნეინამ.

ისე არაფერი არ მატკენდა ხოლმე გულს, როგორც ამნაირი მათი ზოგადი დასკვნა. ყოველთვის ასე იცოდნენ ჩემმა კნეინებმა: თუ ისე ვერ გავაკეთებდი საქმეს, როგორც მათ სურდათ, მაშინვე იმას მომახლიდნენ: „იმიტომაც ხართ ეგრე უბედურები და ჩაქოლვილნიო“.

„ეჰეი! გავიძახოდი გულში,—თქვენც რომ ამოდენა წყევლა და მეხი დაგცემოდათ, რამდენსაც თქვენ მე ყოველ სიტყვაზე თავზე მაყრით, ფერს კი არა, აქლემს ვირისგან ვერ გაარჩევდით. მაგრამ თქმა არ უნდა ამას!.

აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ესენი ერთმანერთის საცვალშიაც-კი ცხვირებს ურევენ!

ამის შემდეგ მოდი და ალაგი იპოვნე!..

— „ქალბატონო, თქვენ გოგოს ეძებთ თურმე და იმიტომ გიახელი...

სიტყვასაც არ დამასრულებინებენ:

— „შენ საბედა არა ხარ, გოგო? რად დიგინებებია თავი კნეინა სოფიოსათვის! არა, შვილო, სოფიოს შენი გულისათვის ვერ ვაწყენინებ. დაგითხოვა, თუ შენ თვითონ გამოხვედი?“

— არა, ქალბატონო, მეტი ჯაფა მქონდა

ქუთაისის ახალი ამბები

〜 კვირას, 21 აპრილს დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით მოხდა ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიური კრება; არჩეულ იქმნენ დირექტორად მ. ნ. ქუთათელაძე, საბჭოს წევრებად—ლ. პ. კოჩაშვილი (202 თეთრი და 56 შავი კენჭი) და თამბაქოს ქარხნის პატრონი ს. ფირალოვი (162 თეთრი და 95 შავი კენჭი). შემდეგ, ღამის 12 საათზე, როდესაც ბევრი წევრი უკვე წავიდა, დიდიმ ჩიკვაიძემ წამოაყენა თავის, ბოქაულ ზაქარია ჭეიშვილისა და ბ. მიქიაშვილის კანდიდატურა სარევიზიო კომისიის წევრობაზე. თავმჯდომარე იძულებული შეიქმნა დაედგა ყუთები როგორც ზემოხსენებულს პირთათვის, აგრეთვე სარევიზიო კომისიის ძველ წევრთათვის—არჩეულ იქმნენ—ნ. კანდელაკი, ვარ. ჭილაძე და დიდიმ ჩიკვაიძე, რომელმაც ერთი კენჭით გაასწრო ალ. ნანეიშვილს.

〜 თუმცა ხორცის ნიხრი გამოცხადებული აქვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, მაგრამ ქალაქური ყასბები თავისას მაინც არ იშლიან. ქალაქმა დააწესა: 1-ლი ხარისხის ხორცი 11 კაპ. გირვანქა, მეორესი,—10 კაპ. და მესამესი—9 კაპ. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ხორცის ხარისხებად დაყოფა ნამდვილად კი არ არის, ამიტომ აქაური ყასბები ამით სარგებლობს და მყიდველი გაურჩევლად და ძალა-უნებურად იხდის ერთ ფასს—11 კაპ.

ნუ თუ აქაც ძნელია კონტროლი დაიჭიროს ქალაქმა, ყასბების თვით-ნებობა ცოტათი მაინც შეამციროს და მცხოვრებლებს ამით შეღავათი მისცეს...

〜 17, 18 და 19 აპრილს მდინარე რიონი მეტად ადიდებული მოდიოდა, ორ საჟენზე მეტი მოიმატა. 19 აპრილს მდინარემ ბალახვანის ქუჩა გადმოიარა ბევრ ადგილას; ბევრ სახლშიაც შევიდა წყალი, განსაკუთრებით ისეთებში, რომელნიც პირდაპირ მიწაზედ აგებულია, უბალავროდ. ბევრი ბაღი, ეზო,კარ-მიდამო გალეკა მოვარდნილმა წყალმა. ოთხ-ფეხი და ფრინველი ბევრი წაართვა გადარეცხილ მოსახლობას; ადამიანი არავინ დაღუპულა, რამდენადაც ვიცით.

როგორც ეტყობა, რიონს რაჭა-ლეჩხუმში უნდა გაეფუჭებინოს სოფელი, რადგან წყალს ბევრი ავეჯეულობა მოჰქონდა, თუ სხვა რამე. აკვანი და ტახტიც კი შევნიშნეთ რიონის აგორებულ ზვირთებში.

20 აპრილიდან რიონმა დაკლება დაიწყო. ამ დღეს ერთი არშინი დაიკლო.

〜 უნდა გავაფრთხილოთ ქუთათურები: ქურდამირიდან და უჯარიდან ქუთაისში ჩამოვიდნენ ჩარჩები, თან ჩამოიტანეს იქაური მოშვანგული ღვინო და აქაურ ფეხზე-მოვაჭრეთ დაურიგეს გასასაღებლად. ღვინო კახურის სახელით მონათლეს და ჰყიდიან აქაურს „ყანთარზედ“.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლოს დროს მეტად გახშირდა ქუთაისში ყალბი ღვინო. ფალსიფიკაციას უფრო თეთრ ღვინოს უკეთებენ. სყიდვის დროს ძნელად რომ გამოიცნოთ იმის სიყალბე: ფერიც კარგი აქვს და არც გემოს დაუწუნებთ მაინცა-და-მაინც. მიიტანთ სახლში და გადაასხამთ თუ არა ბოთლებში, ერთი-ორი დღის შემდეგ ღვინოს ფერიც ეკარგება და გემოთიც უვარგისი ხდება.

ტფ. საქ. საბჭოს სხდომა

22 აპრილს ტფ. საბჭოს კრება ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო და ხმოსნებიც ბლომად დაესწრნენ. მოვიდა სულ 43 კაცი.

ამ დღეებში, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ქალაქის გამგეობამ, რუსეთის პოეტის ჟუკოვსკის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო, მის პატივსაცემლად გარდასწყვიტა, სხვათა შორის, გადაიხადოს პანაშვიდი ქალაქის სკოლებში, გადასდოს 300 მან. პოეტის იაფფასიან გამოცემებისა და სურათების შესაძენად, რომელნიც უნდა დაურიგდეს საქალაქო სკოლის მოსწავლეებს, ერთს პირველ დაწყებით სკოლას უნდა ეწოდოს ჟუკოვსკის სახელი და სხვ. საბჭომ შეუცვლელად უკამათოდ დაამტკიცა გამგეობის აღნიშნული გარდაწყვეტილება.

ხმოსანმა ბ. ბალდასაროვმა ამა წლის იანვარში განაცხადა საბჭოში—გამოძიება მოეხდინათ იმის შესახებ, რომ ქალაქის თვით-მმართველობის ერთი მოხელეთაგანი ბოროტ-მოქმედებას ჩადიოდა: სავაჭრო მოწმობათა მიცემის დროს ერთის მარკის ნაცვლად მთხოვნელთ ორ-ოდ მარკისა და მეტის ფასს ახდევინებდა და თვით სარგებლობდა. ამის შესახებ ცნობები შეუკრებია ქალაქის თავის მოადგილეს; ბ-ნ შესტაკოვის მოხსენებით, აღნიშნულ მოხელის მოქმედებაში ბოროტ-მოქმედება არ არის, რადგანაც მომჩივანი არა სჩანს და ამასთანავე თუმცა არის რამდენიმე მაგალითი ორ-ოდი მარკის გამორთმევისა, მაგრამ ვერ გამოურკვევიათ—თავის ნებით აძლევდნენ მთხოვნელნი მარკებს მოწმობების მისაღებად, თუ მოხელე ახდევინებდა. ქალაქის თავის მოადგილის აზრით, რადგანაც წრევანდლამდე ორ-ოდი მარკა იყო საჭირო თხოვნებზე აღნიშნულ მოწმობების მისაღებად, ხოლო წელს ეს წესი შეიცვალა, ალბად მთხოვნელთ ეს არა სცოდნიათ და ორ-ოდ მარკას მიტომ აძლევდნენ გამგეობაში, რაც მოხელის ბოროტ-მოქმედებად არ ჩაითვლებათ. ასეთის განმარტებით არ დაკმაყოფილდა ხმ. ბალდასაროვი და დაასახელა ბევრი მაგალითები აღნიშნულ მოხელის განზრახ ბოროტ-მოქმედების ჩადენისა. კარგა ხანს კამათის შემდეგ საბჭომ, ხმის უმეტესობით, გარდასწყვიტა—დაევალოს გამგეობას გამოძიება მოახდინოს ამ საქმის შესახებ და ახლოს მომავალში წარუდგინოს საბჭოს განსახილველად.

შემდეგ შეუდგნენ გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანს, ბ. ხოსროევის ნაცვლად. ბარათებით დასახელებულ იქმნენ კანდიდატებად: ბ. კოკნაევი 13 ხმით, ექიმი სტეფანოვი 22-ით და სვენჩიკოვი 7 ხმით. ამათ გარდა თხოვნის თანახმად აღნიშნულ თანამდებობაზე კენჭი უყარეს გამგეობის მდივანს პ. მ. იაკიმოვს. კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნენ კოკნაევი 25 ხმით წინაამდეგ 17 ხმისა, სტეფანოვი 28 ხმით წინაამდეგ 15 ხმისა და სვენჩიკოვი 22 ხმით წინაამდეგ 21 ხმისა. იაკიმოვს ამოუვიდა 6 თეთრი და 37 შავი კენჭი. ამ რიგად ამორჩეულ იქმნა სამი კაცი. ამ გარემოებამ ხმოსნთა შორის ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგნი აცხადებდნენ სამივე კანდიდატი იქნას წარდგენილი გუბერნატორთან, ზოგნი კი თვით-მართველობის პრინციპის დასაცველად ითხოვდნენ წარედგინათ გუბერნატორთან მხოლოდ სტეფანოვი, რომელსაც სხვა კანდიდატებზედ მეტი თეთრი კენჭი ამოუვიდა. საბჭომ კარგა ხანს კამათის შემდეგ 17 ხმით, წინაამდეგ 16 ხმისა, გარდასწყვიტა გამგეობის წევრის თანამდებობაზედ დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინოს ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი ექიმი სტეფანოვი.

წერილი ბაქოდან

(შაჰის მოლოდინში.—ქალაქის თავის არჩევნები

ბაქოში, როგორც მოგეხსენებათ, 26-ს აპრილს მოელიან სპარსეთის შაჰის და ამიტომ ეხლა აქ დიდ მზადებაში არიან: ქუჩებს, რომლებზედაც იგი გაივლის, დაუწყეს შეკეთება და გალამაზება; დაუწყეს აგრეთვე მორთვა სახლს, ნიკოლოოზის ქუჩაზე, სადაც მისს უდიდებულესობას ბინა ექნება. შაჰის ამალის ნაწილი უკვე ჩამოვიდა ბაქოში; ბაქოს გუბერნატორი და სხვანი ყველანი, ვინც კი გამოგზავნილი იყვნენ პეტერბურგიდგან და ტფილისიდგან შაჰის მისაგებებლად, უკვე წავიდნენ ზოგი ენზელში და ზოგიც ასტარში.

„ბაქოს საგუბერნიო უწყებებში“ გამოცხადდა შაჰის მარშრუტი ბაქოს გუბერნიაში შემოსვლის შემდეგ და წეს-რიგი მათი მიგებებისა ბაქოში. აქ შაჰი დარჩება 29-დის და ამ დღეს წაბძანდება კავკავის გზით როსტოვისაკენ და შემდეგ გაემგზავრება სამზღვარ-გარედ.

შაჰის მობრძანებამდის უთავო ბაქოს, ვგონებ, თავიც გაუჩნდეს: 24 აპრილს დანიშნულია ქალაქის თავის არჩევანი. როგორც ამტკიცებენ, ბაქოს თავად გახდება ა. ნოვიკოვი.

წუალტუბელი

წერილი კახეთიდან

(ამინდი.—ავადმყოფობა.—სანიტარული მდგომარეობა)

ვერაფერი აღდგომა გაუთენდა კახეთს საზოგადოდ და მასთან ერთად ჩვენს უბადრუკ თელავს. 7 აპრილს საღამოზედ აცივდა; ღამის 2 საათამდის სითბო 3/0 ჩამოვიდა; დილის სამ საათზე-კი უკვე გაყინა. ყინვამ გასტანა სამ საათნახევარი. სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და სხვა ზარალი მიაყენა საზოგადოდ ყველა მცენარეულობას და განსაკუთრებით ვაზსა. საზოგადოდ, მთელ კახეთში ახალი ვაზი სულ ყველგან აზარალა, დედა-ვაზა-კი უფრო იქ დაზარალდა, სადაც ბალახი იყო მორეული. მართალია, ყინვამდის თოვლიც მოვიდა—4-ს აპრილიდან 7-დის თოვლი მოდიოდა დრო გამოშვებით, მაგრამ 7-ს თოვლი თითქმის სულ ყველგან აიღო; თოვლს არა უგნია-რა და ამ ყინვის ზარალსაც გაუძლებდა ვენახის პატრონი, რომ არ განმეორებულიყო. 12-ს აპრილსაც დილის 4 საათზე გაყინა და ზედ-ადგომის დამესაც ყინვამ ცივი ქარით შეზავებულმა დიდი ზარალი მისცა ვენახებსა. მთებზედ თითქმის ყოველ-დღე 4 აპრ. დაწყობილი თოვლი მოდის, დღისით სითბო [illegible]-ზე ზევით არ ადის და ღამე ესეც კლებულობს. ისე საგრძნობელად არის დაზარალებული ზოგ ადგილას ვენახები, რომ მონახევრეებმა ხელი აიღეს შემუშავებულს ვენახებზედ. სწორედ საკვირველია ზოგი ვენახის სრულიად გაფუჭება, როდესაც იმის გვერდზე სხვა ვენახები ნახევრადაც არ არის გაფუჭებული. თითქო ერთსა და იმავე ბუნების მოვლენას, ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე ჯიშის ვაზზედ, თუ ერთგვარ პირობებშია, ერთნაირი გავლენა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს ასე არა ხდება. ერთი ვენახი ძალიან ფუჭდება, მეორე ნაკლებად.

ამ უდროვო სიცივემ სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გაამრავლა. თელავში ფილტვის ანთება გახშირდა. ჩვენი ორი ექიმი თავ-გამოდებით ებრძვიან სოფლადაც და აქაც ავადმყოფობას. მათი ბეჯითობა და უნარი მართლა საყურადღებოა, მაგრამ ჩვენი აფთიაქის მოქმედება-კი იქნება საარაკო გახდეს. ერთი წამლის მაგიერ მეორეს იძლევიან და ავადმყოფის სიცოცხლეს განსაცდელში აგდებენ. ამას წინად აწყურელი გლეხისათვის გროფმანის კაპლის მაგიერ ბენზინი მიეცათ, მიეტანა ავადმყოფ ცოლისათვის, დაელევინებინა და ისეთი მუცლის გლეჯა ავარდნოდა, კინაღამ თან გადაეტანა. ვერ ვიტყვით, რომ მარტო გლეხებს მოსდიოდეთ ხიფათი. ამას წინად თავ. ე. ვახვახიშვილისათვის ექიმს ბ. ახვლედიანს გამოეწერა წყალში გახსნილი რაღაც მარილი; ამის მაგიერ მიეცათ მაგარი სულემა. კიდევ კარგი, ექიმი იქავე ყოფილიყო და მოტანილი წამალი თვით გემოთ ენახა. მართალია, არც ექიმს დაუყარა ხეირი, იგიც მოიწამლა და შინ გაიქცა საწინააღმდეგო საშუალების მისაღებად, მაგრამ ავადმყოფს რომ დაელია, მისი გამობრუნება კი აღარ მოხერხდებოდა. ჩვენ აფთიაქის წინააღმდეგ-კი არა ვსწერთ, არამედ გვინდა მოვაგონოთ, რომ მეტის ყურადღებით იქცეოდნენ წამლების მზადებასა და გაცემის დროს. ამისთანა მოგონება თვით აფთიაქის პატრონისათვისაც სასარგებლოდ მიგვაჩნია. მიზეზი ექმნება მეტი მეყაოთობა და ყურადღება მოსთხოვოს მომუშავეთ. სრული იმედი გვაქვს, ასეც მოიქცევა. შეცდომა ყველას მოუვა, მაგრამ შეცდომის გამრავლება არ არის შესაწყნარებელი.

მოსალოდნელია, რომ სიცივეს სიცხე მოჰყვება, და ესეც ისევე მოუმზადებლებს მოგვასწრობს, როგორც სიცივემ გვიყო. ეზოები არა გვაქვს გაწმენდილ-გასუფთავებული უფრო-კი თელავის ზედ-ნადებ კურდღელაურში. აქაო-და ეს ზედ-ნადები სოფელს ეკუთვნისო, უკაცრავად პასუხია, უწმინდურების ზვინებით სავსეა ზოგი ისეთი საჩინო ადგილი, რომ დავასახელო, არავინ დაიჯერებს. სრული იმედი გვაქვს, ყველანი საერთოდ და სათითაოდ თავ-თავის ეზოს დაასუფთავებენ. ამისთანა საყოველთაო სასარგებლო საქმისათვის ძალ-დატანებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ნადიკვრელი

—ოთახებსაც მე ვალაგებდი, სარეცხსაც მე ვრეცხავდი, გასაგზავნ-გამოსაგზავნათაც...

მოსამსახურე იმისია, რომ ყველაფერი გამიკეთოს. შენ, შვილო, ბატონობა მოგდომებია; თორემ განა არ ვიცი, სოფიოსთან საიმისო განა რა ჯაფა გექნებოდა!

გამოჰბრუნდები თავჩაკიდული. მიხვალ მეორესთან. ამას უკვე ვაგებული აქვს, რომ კნეინა სოფიომ თავის გოგო გააგდოვო და, ეჩვენები თუ არა, ძაღლისავით დაგიტატანებენ. დაგწყევლოთ ღმერთმა! გავიძახი გულმოსული; ასე როგორ გაქვთ კუდი ერთმანეთზე გადაბმული: ის ბიძაშვილია, ის მამიდაშვილი, ის ბებიდაშვილი; ვაი თქვენ და თქვენ ნათესაობას!

ნათესაობას ისე ვერ ვიტყვი, რომ თვალწინ ათასი ამათი სიბინძურე-გარყვნილება არ წარმომიდგეს, რომლის მოწამე ჩვენ, საწყალი მოახლე გოგოები, ვართ; მაგრამ ჩვენ ვინ რას დაგვიჯერებს!

ვნახოთ, როგორ მოვეწყობი ახალ ბინაზე. ჩემი ქალბატონი არ უნდა იყოს ქალაქის დიდკაცობაში გასული, თორემ ერთხელაც იქნებოდა სადმე შევხვედრებოდი. გვარი კი გამიგონია—მაჩუნიძე; დიახ, თამარ მაჩუნიძისა, გთხოვთ იცნობდეთ, და ბრწყინვალე მეუღლე მისი მიხეილ მაჩუნიძე.

გვარი მაინც და მაინც ძალიან არა ბრწყინავს, მაგრამ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ბევრი დიდი გვარის კაციც მინახავს, რომ შაურად ქუჩაში ლეკურს დაუვლის.

ადვილად არ მიღირს ამ ალაგის შოვნა და ვნახოთ, რამდენხანს შემრჩება. ჩემი ახალი ბატონი კი ძალიან წუწკი რამ უნდა იყოს და, თუ თავს არ გავუფრთხილდი,—ვიცი ჩვენი კნიაზების ამბავი—აბა რას დამინდობს! დამინახა თუ არა—კამეჩისავით გადააბრიალა თვალები და ულვაშების გრეხა დაიწყო. მე ქალბატონს ველაპარაკებოდი, ცალი თვალი კი იმისკენ მქონდა; სიტყვას არ ამბობდა, მაგრამ ისე კი ნამდვილად ვგრძნობდი, გულში გაიძახოდა: ეს ულვაშები გამპარსე, თუ მე შენ რა გიყოვო! ნეტა რა დავუშავე? სწორედ გითხრათ, თუმცა ეს აზრი მაშინებს, მაგრამ მაინც და მაინც არა მწყინს: თუ გოგოს სახლში მოარშიყე არა ჰყავს, აბა რა ცხოვრებაა!—ჩვენი გასართობიც ეს არის. თუმცა, როგორც ვსთქვი, მაშინებს. მაშინებს იმიტომ, რომ ვიცი ჩემი თავის ამბავი—არ შემიძლიან კაცს გაუძალდე, არა და არა; ისიც ვიცი, რომ მე ყოველთვის უბედური მსხვერპლი ვიქნები ჩემი უანგარობისა და მათი სიამოვნებისა. არა. ერთობ ძალიან მიყვარს სიყვარული, რომ რასმე გამოვრჩე მას. ეს შეჩვენებული კაცები რომ მომიახლოვდებიან, ნიკაპს რომ ამიწევენ და მაკოცებენ ხოლმე, მომხვდება თუ არა სახეზე გაბურძგული ულვაშები და ვიგრძნობ მათ გაშმაგებულ ფშვენას... მოკვდი გულო! მშვიდობით საბედო! არა, ამ დროს სად მოგაგონდება ფულის თხოვნა! ისე მოვწყდები, ისე მომჩვარდები... პირიქითაც რომ მთხოვონ—მზად ვარ ყოველისფერი მივცე.

მახლას! ასეა ჩვენი საქმე. აგერ ეხლა მოვემწყვერი სოფ. ბოლონისში. რის უნდა გამოველოდე აქედან, მე თვითონ არ ვიცი. სჯობს ბედზე მივაგდო თავი. რაც იქნება, იქნება, ოღონდ პატარა კი მოვისვენო. ეს ორი წელიწადი ისეთ მოუსვენარ ცხოვრებას ვატარებდი, რომ ვგრძნობ, დავიღალე, აღარ შემიძლიან. დღეს რომ სარკეში ჩავიხედე, ისე დაჭანცული და ფერ-დაკარგული სახე მქონდა... ხუმრობა არის! ორი წლის განმავლობაში არ მახსოვს, რომ დილის ოთხ საათზე ადრე დამეძინოს. მერე რა ღამეებს ვატარებდი... რა გულის ხეთქაა! ღმერთმა მშვიდობა მისცეთ ჩვენ დიდ-კაცობას! როგორ უძლებენ ამდენ ღამის ტეხას! მეტადრე ჩემი ქალბატონი მარიამ ფეხთავაძისა, ანუ როგორც მას ყველა ეძახის, გიჟი მაშკა. ეს ორი წელიწადი ჩემი იმასთან ყოფნა სიზმარი იყო.

ამ მიყრუებულ სოფელში ბევრჯელ მომაგონდება ჩემი გიჟი კნეინა. მაგრამ სამაგიეროდ აქ მოვისვენებ, თუ მოახლესაც ეღირსება როდისმე მოსვენება!

ჩემი ახალი ქალბატონიც კარგად დამიხვდა. თუმცა პირველ დღეს ყველა ქალბატონი ტკბილად მღერის—მეორე დღეს უცბად კილოს შეიცვლიან ხოლმე; ეს გამოცდილი მაქვს. მით უფრო, რომ ქალბატონს ცივი და მკაცრი შეხედულება აქვს; პატარა რგვალი თვალები ისე დაუხტიან, თითქო სულ რაღაცას ეძებენო; თანაც კრიჟანგიც უნდა იყოს. გაყვითლებულ კბილებზედაც თხლად გადაკრული ტუჩები, მშვიდობის მოყვარეობას არ მოასწავებს.

მოვედი თუ არა, ჯერ სულიც არ მომაბრუნებინა, ოთხი საათის ნამგზავრს, მშიერ-დაღალულს ქალბატონმა დამიწყო ჩვეულებრივი გამოკითხვა და ოთახებში წამიძღვა—ოღონდაც რომ დროს არ ჰკარგავდა და არც მე მაკარგვინებდა!

ზ—ლი

(გაგრძელება იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ

„ცნ. ფურცლის“ 18 აპრილის №-ში თქვენს ქუთათურ კორესპონდენტს შემდეგი შეცდომები შეპარვია თავის კორესპონდენციაში:

1. ამხანაგობამ დაამზადა წელს გასაყიდათ და გაყიდა კიდეც მხოლოდ 6700 ძირეული ნამყენი.

2. ერთი ნაწილი ამ ნამყენებისა გაყიდა ორ შაურად კი არა ძირი, არამედ **ორი ძირი ხამ შაურად**, ე. ი. 7½ **კაპ. ძირი**. დანარჩენი კი გაიყიდა ორ-ორ შაურად.

3. 300 მანეთი მოგება არ გვქონია წელს დიდი ხარჯების გამო და ძლიერ ცუდი მოსავლის წყალობით მოგება თითქმის არ ექნება ამხანაგობას, მით უმეტეს, რომ საქმე მხოლოდ ერთი წლია, რაც დავიწყეთ.

4. გამოვიწერეთ საფრანგეთიდან 9,000 მეტრი ლერწი და არა 15,000; მივიღეთ მხოლოდ 8600 ღერი, ისიც მარტის გასულს, როცა აქ დამყვნა დაგვიანებული იყო, რადგან წელს ადრე გაზაფხულდა, ამიტომ იძულებული გავხდით გაგვეყიდა ლერწად უფრო ცივს ადგილებში, გამოწერილი კი გვქონდა ნოემბერში.

5. ზვარის ამხანაგობის წესდება შევადგინეთ ადგილობრივ მოთხოვნილებათა მიხედვით, ამიტომ, ეჭვი არაა ამ წესდების რამდენიმე მუხლი განირჩევა ნორმალურ წესდებიდან; ხოლო მისი დაუმტკიცებლობა სრულებითაც არაა ამის მიზეზი. მართალია თუმც ბევრი გვტანჯეს ქუთაისშივე და მოითხოვეს ყოველ შეცვლილ მუხლზედ ცალ-ცალკე ახსნა, მაგრამ, როგორც აღმოჩდა, ჩვენმა ახსნამ დააკმაყოფილა ყველანი, როგორც ქუთაისში, ისე თფილისში და პეტერბურგში, რადგან ახალი რამ აღარ მოუთხოვიათ. ჯერ კიდევ ნოემბერში სამინისტრო შემეკითხა: დაგიმტკიცდებათ თქვენი წესდება, თუ შიგ ერთი ფრაზის ამოშლის ნებას მოგვცემთო; ეს ფრაზა გულისხმობს: **„ამხანაგობის წევრებათ მიიღებიან როგორც მემამულენი, ეგრეთვე ყველა ის, ვინც ხელს უწყობს მეურნეობის განვითარებასაო“**. სამინისტრო გვწერდა, მოგვეცით ნება ამ ფრაზის მეორე ნახევარი ამოვშალოთო, ე. ი. წევრებათ მიიღეთ **მხოლოდ მემამულენი და ნუ მიიღებთ არამემამულეთაო**: ამათი მიღებით, ადვილად შეიძლება თქვენი ამხანაგობა კაპიტალისტებს ჩაუვარდეთ ხელშიო და ეს არაა სასურველიო. ჩვენც დავეთანხმეთ იმ სიტყვების ამოშლაზედ. მას შემდეგ გადის აგერ მეხუთეთვე და არაფერი ამბავი გვესმის, არც დამტკიცებული წესდება მიგვიღია. ჩვენის აზრით, მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ვგონებ იქ კომიტეტი პერიოდულად იკრიბება წესდებათა განსახილველად, ყოველ 3-4 თვეში ერთჯერ, და ალბათ ამ გარემოებამ შეაჩერა საქმე.

ეს კია, რომ წესდების უქონლობამ ძლიერ დახლართა ჩვენი საქმე. ამის მიზეზით და მისი ლოდინით ვერც საზოგადო კრება მოვახდინეთ, ვერც საქმე გავაფართოვეთ. ვერც მამული შევიძინეთ, ვერც წევრები მოვიმატეთ და ვერც კრედიტი გავიხსენით. ერთი სიტყვით, ვართ დღემდე ხელ-ფეხ შეკრული.

ამ მოკლე ხანშიაც გავგზავნე შესახსენებელი ქაღალდი სამინისტროში; რამე პასუხი მოვა უსათუოდ, შემდეგ საერთო კრებასაც მოვახდენთ და საზოგადოებასაც გავაცნობთ საქმის ყოველივე ვითარებას.

ზვარის ამხანაგობის გამგე **სიმონ ქვარიანი.**

უცხოეთის წვრილი ამბები

ქალები ჯარში. შვეიცარიაში ერთს დაბაში გადასწყვიტეს, რომ ქალები მიაჩვიონ სამხედრო სამსახურს. ეს საჭიროება გამოიწვია კაცების ნაკლებულებამ, რადგანაც ისინი, თითქმის ყველანი, სხვა ქვეყნებში მიდიან სამუშაოდ, მეტადრე მეზობელ გერმანიაში. ყველა ჯანსაღი დედაკაცები და გასათხოვარი ქალები, თექვსმეტი წლიდან დაწყებული ოც და ხუთმეტ წლამდე, ნაციონალურს გვარდიაში ჩასწერეს; იმათი თანამდებობა შემდეგია: 1) ქურდებისაგან დაიფარონ მცხოვრებლები; 2) დღესასწაულებზე დაესწრონ მშვიდობიანობის დასაცველად; 3) შეადგინონ საპატიო გვარდია, როდესაც ამ მხარეში მოვლენ შვეიცარიის რესპუბლიკის უმაღლესი მოხელენი; 4) თვალ-ყური ადევნონ სისუფთავეს და წეს-რიგს, განსაკუთრებით საზოგადო ბაზრებში. ქალებმა მორიგეობა უნდა გასწიონ, თითომ ოთხი საათი. უკეთუ ვერ შეიძლებენ სამორიგოდ მოსვლას, ოფიციალურად უნდა აცნობონ მოუსვლელობის მიზეზი და ამასთან ორი ფრანკი უნდა წარმოადგინონ, როგორც ჯარიმა.

ამ გვარდიის ქალების ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულებრივ შვეიცარიულ ქალის ტანისამოსზე გაკეთებული აქვთ თეთრი წინ-საფარი, რომელსაც შუაზე დახატული აქვს კანტონის ღერბი, და თავზე ახურავთ რგვალი შლაპები, ზაფხულში ჩალისა, ხოლო ზამთარში ნაცრის ფერი ნაბდისა წითელის ფრთით.

* *

დედაკაცი ასპიცია. ამ დღეებში პარიზში ყველა გაშტერებული დარჩა ერთი უცნაური ამბის გაგონებით და ყველასა ჰსურდა შეეტყო გაუგებარი დრამის მიზეზები.

ვინმე ფერდინანდმა, ახალგაზდა სტუდენტმა—ექიმმა, შეძლებული დედ-მამის შვილმა, თავი მოიკლა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ ყმაწვილ კაცს შეუყვარდა და დაუახლოვდა თავის ოჯახის ერთის მეგობრის ცოლს. ქალი, როგორცა სჩანს, ულრმესად ზნე-წამხდარი და გარყვნილი ყოფილა, რადგანაც სტუდენტს ჩამოსციებია და ბოლოს დაუყოლიებია, რომ თავი მოიკლას, რითაც ის დაამტკიცებს თავის აღგზნებულ სიყვარულს ქალისადმი. —მე სამუდამოდ მეხსომები„ შენ,—სწერდა ქალი სტუდენტს ერთს წერილში, რომელიც იმის სიკვდილის შემდეგ იპოვნეს,—ამგვარად შენ კი არ მოკვდები, პირიქით, საუკუნოდ იცოცხლებ ჩემს გულში და სულში.

ამ „უბადრუკმა“ ყმაწვილმა კაცმაც მიიღო რჩევა თავის საშიშ და გაიძვერა სატრფოსაგან და ერთ მშვენიერ დღეს თავი მოიკლა, რომ „საუკუნოდ იცოცხლოს“ ამ უგულო აფთარის გულში.

ეს წერილი აღმოაჩინა საბრალო სტუდენტის მამამ, რომელმაც მაშინვე წააკითხა ამ ანგელოზი ქალის ქმარს წერილის შინაარსი. ქმარმა დაუყოვნებლივ წარადგინა წერილი სამართლოში და სთხოვა, რომ ცოლთან განაქორწინონ აჰყარონ.

ნუ თუ ამასაც სიყვარული ჰქვიან თუ სხვა რამე?!

* *

სააღდგომო კვერცხები. რაც ხანი გადის, ყოველ წელს სულ სხვა-და-სხვა სააღდგომო კვერცხებს იგონებენ, რომელთ ფასიც ადის რამდენიმე კაპეიკიდან ათასს მანეთამდის.

ორი წლის წინად ერთმა ვაჭარმა ჩიკაგოში თავის სახლობას აჩუქა ჩუქურთმებით ნაკეთები სპილოს ძვლის კვერცხი, რომელიც ირგვლივ არშინ ნახევარი იყო. როცა ამ კვერცხს გახსნიდნენ, შიგ კიდევ მეორე კვერცხი იდო, და ამ დროს იწყებდა დაკვრას რაღაც უჩინარი მუსიკა. კვერცხის გულში მოთავსებული იყო ფონოგრაფი, რომელიც იმართებოდა დამალულის პრუჟინით, როდესაც ქერქს შემოაცლიდნენ; ეს შესანიშნავი კვერცხი დაჯდა ოთხი ათასი თუმანი.

რომის პაპს ყოველ წლივ მოსდის დიდ-ძალი ძვირფასი სააღდგომო კვერცხი. ამას წინად იმას მოუვიდა ძვირფასი თვლებით შემკული კვერცხი, რომელზედაც ოცი ლალი შეადგენდა სიტყვას pax (მშვიდობა). ეს საჩუქარი უსახელო იყო.

სამი წლის წინად ერთმა საწყალმა გლეხმა მიართვა პაპს დიდი ხის კვერცხი, რომელსაც რამდენიმე ჯუჯრუტანა ჰქონდა, და როდესაც ამ კვერცხს ახადეს, იქიდან ორი სპეტაკი თეთრი მტრედი ამოფრინდა, რამაც საშინლად გააკვირვა დამსწრენი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 აპრილი.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ 22 აპრილს გამოცხადებულია: შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სახელმწიფო მშვიდობიანობის გაძლიერებულის დაცვის წესდება შემოღებულია პოლტავის გუბერნიის შემდეგ მაზრებში: პოლტავისა, კონსტანტინოგრადისა, პერეიასლავისა, ლუბენისა და კრემენჩუგისაში.

კრონშტადტი. „ერმაკი“ რეველში მიდის, საიდანაც მოიყვანს სამხედრო გემებს, რომლებიც ზამთარში ლიბავაში იდგნენ.

ტვერი. 20 აპრილს შესდგა მეორე არქეოლოგიური კრების გამმართველი კომიტეტის სხდომა. ექსკურსიებისთვის აღნიშნეს: ტორჟოკი, სტარიცა, რჟევი, კალიაზინი, კაშინი და კრასნი ხოლმი.

ვარშავა. რუსეთის საგენერალო კონსულმა ბერლინში მიჰმართა კამინსკის გუბერნატორს თხოვნით, აუწყოს ადგილობრივ მცხოვრებთ, რომ მუშები, ვიდრე ხელ-შეკრულებას არ ჩამოართმევენ სამუშაოს პატრონებს, არ გამოემგზავრონ პრუსიაში.

ცარიცინი. საბჭოში წინადადება შეიტანეს, რომ სახელმწიფო ტელეფონი ქალაქის საკუთრებად შეისყიდონ.

სოხუმი. დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული მეუღლით 21 აპრილს გაგრაში მოვიდნენ.

ნოვგოროდი. ნოვგოროდსა და ნავთსადგურ უსტ-ვოლგას შუა მდინარე მეტაზე სამგზავრო გემებმა სიარული იწყეს.

სასახლე ლოო. დედოფალი უდროო დროს განთავისუფლდა ძეობისაგან. მისი მდგომარეობა ძალიან საშიშია.

ბელგრადი. დიაკონიცაში (ძველ სერბიაში) შეტაკება მოხდა ორ ალბანელ ერთა შორის.

იოკოჰამა. აღმოსავლეთ ნაპირზე, ხოკშიდოსთან, ზღვის ღელვის დროს 250-მდე მეთევზე დაიღუპა.

პეკინი. ჩინ-ტინ-ფუდან იტყობინებიან, რომ ამ ოლქში ამბოხება ძლიერდება. რამდენიმე უცხოელი მღვდელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

სასახლე ლოო. დღეს დილით გამოცხადდა შემდეგი ბიულეტენი: „დედოფალი ძეობისაგან უნდა განთავისუფლებულიყო სექტემბერში; გუშინ საღამოს ექიმები დარწმუნდნენ, რომ ორსულობა მშვიდობიანად არ გათავდებოდა; მდგომარეობა საშიში იყო, მაგრამ ამ ჟამად ავადმყოფი ცოტათი უკეთ არის“.

ბუდაპეშტი. პროფესორი ლანგი სახელმწიფო მინისტრად დაინიშნა.

ბერლინი. „რეინ-ვესტფალის“ გაზეთი სწერს: პრეზიდენტმა კრიუგერმა გამოუცხადა ბელგიელ დეპუტაციას, რომ ცნობა, ვითომც მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება კარგად მიმდინარეობს, განგებ მოგონილია ინგლისის მთავრობისაგან მეფის ედუარდის გვირგვინის კურთხევის მოლოდინში. კრიუგერი ამტკიცებს, რომ მის დაუკითხავად ზავის ჩამოგდება შეუძლებელია.

პეტერბურგი. ქალაქის თვით-მმართველობის სურვილის თანახმად, ალექსანდრე-ნეველის ლავრაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ვ. ა. ჟუკოვსკის სულის მოსახსენებლად; პოეტის საფლავი ვერცხლის გვირგვინებით შეამკეს.

23 აპრილი

პეტერბურგი. გემების აშენებელ უმთავრეს მმართველობის უფროსი ვიცე ადმირალი ვერხოვსკი დაინიშნა საადმირალო საბჭოს წევრად. სენატორი, ტაინი სოვეტნიკი ობოლენსკი დაინიშნა ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ და იმასვე მიენდო თანამდებობა უფროსობისა გაუწერელ ხარჯის უმთავრეს მმართველობისა და სახაზინო სასმელების ვაჭრობისა.

თანახმად უქვეშევრდომილესი მოხსენებისა, სახელმწიფო საბჭოს წარედგინა ქაღალდი გაუწერელ ხარჯის და სახაზინო სასმელების უმთავრეს მმართველობის უფროსის თანაშემწის თანამდებობის დაარსების შესახებ ამის დამტკიცებამდე, ამ თანამდებობათა ასრულება მიენდო ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრს ტაინი სოვეტნიკს ნოვიცკის, და ამასთანავე მიეცა უფლება მინისტრის ამხანაგის ავადმყოფობის დროს ან სხვა შემთხვევაში მისი თანამდებობაც აასრულოს. თუმცა უცხო სახელმწიფოების ლატარიის ბილეთების რუსეთში შემოტანა აღკრძალულია, მაინც შემოაქვთ და ასაღებენ. ხალხის მოტყუების ასაცილებლად ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ იგი მოსპობს ამგვარ ბილეთებს, თუ მთავრობა აღმოაჩენს სადმე. შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ დურნოვომ ჩაიბარა საპოლიციო დეპარტამენტის საქმეები. „პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია დეპეშა ბოლგარიის მთავრისა სლავიანურ საქველ-მოქმედო საზოგადოების მიმართ. მისი დიდებულების ლეიბ-გვარდიის ყაზახთა პოლკის უფროსი გენერალ-მაიორი დემბსკი დაინიშნა პირველ კავალერიის მეორე ბრიგადის უფროსად.

სოფია. გვარდიის აფიცრის გაგიჟებულმა ცხენმა გადაუარა იმ კარეტას, რომელშიაც თავადი იჯდა. თავადს არა ვნებია-რა.

ამსტერდამი. გუშინ დედოფალს გაუკეთეს ოპერაცია და კარგად ჩაიარა. სჩანს, საშიში აღარა არის.

ბერლინი. სამხრეთ-აფრიკიდან მოსული გენერალ ბოტას მეგობარი ამბობს, რომ ტყუილი არისო ის ხმები, რომელიც ბურთა მხედრობის მდგომარეობისა და მათს სარდლებზე მორიგების შესახებ გაავრცელეს. ბურები სრულებით დამარცხებულად არ სთვლიან თავის-თავს.

სოხუმი. საქალაქო საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს სოხუმში საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ასტარა. შაჰს წარუდგა რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე არსებულ საექიმო სადგურის უფროსი ექიმი შემეტოვსკი. შაჰმა მადლობა გამოუცხადა ექიმს სასარგებლო მოღვაწეობისათვის. დილის 11 საათზე შაჰი შემოვიდა რუსეთის ასტარაში; მას მუსიკითა და ზარბაზნების სროლით მიეგებნენ.

ლიბავა. დღეს აქაურ ნავთ-სადგურში შორეულ აღმოსავლეთიდან მოვიდა ხუთი ჯავშნიანი გემი.

რიგა. დანიის გემი „ნორდშერნენ“ დაიღუპა დონესნესთან; ზღვაოსნები ინგლისის გემმა „ზეგოტუან“-მა გადაარჩინა

პეტერბურგი. რადომიდან, კრონშტადტიდან, ტულიდან, რიაზანიდან, ვილნოდან და რიგიდან იტყობინებიან, რომ იქ პანაშვიდები გადაუხდიათ ჟუკოვსკის სულის მოსახსენებლად.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. მთავრობას ეკითხებიან: აქვს თუ არა ინგლისს მოლაპარაკება იტალიასთან ტრიპოლის დაპყრობის შესახებ; კრანბორნი უპასუხებს—არაო.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 22 აპრილს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,85	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	472½	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	361	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	304	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	89	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	90¼	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	190	“

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია ტფილისის საათი, ფრჩხილებში კი—პეტერბურგის)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ. (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

Дозволено цензурою Тифлисъ, 23 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.